



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№10

30 მარტი 2021 წელი

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.№44.01.31.604) 9კვ.მ. ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების, „სენაკის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.05.16წ. №15 დადგენილების, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის №5001350721 (09.03.2021წ.) დასკვნის, მერიაში შემოსული 2020 წლის 23 დეკემბრის №19/402035839-08 განცხადების, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 16 მარტის №40-402107535 მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით-იჯარით გასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 44.01.31.604) 9კვ.მ. ნაკვეთი მსუბუქი კონსტრუქციის პავილიონის განსათავსებლად 15 წლის ვადით.

2. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №44.01.31.604) სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 630 (ექვსასოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერ რუსია